

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლუბა კოზმავა

საქართველოს ადგილობრივი ორგანოების მოსახლეობასთან
ეფექტიანი კავშირის ფორმირების, განხორციელებისა და
შეფასების ტექნოლოგია

სადოქტორო პროგრამა – საჯარო მმართველობა

შიფრი – 1109

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2020 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფესორი კონსტანტინე აბულაძე

რეცენზენტები: -----

დაცვა შედგება 2020 წლის ----- ივლისს, ----- საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების,
საჯარო მმართველობის და მენეჯმენტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო
საბჭოს სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია -----
მისამართი: 0160, თბილისი, კოსტავას 77

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - სტუ-ს ვებგვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

პროფესორი

/ლელა კოჭლამაზაშვილი/

Resume

Formation, Implementation and Evaluation of Effective Communication between Georgia's Local Government Bodies and Citizens

The doctoral dissertation Techniques of the Formation, Implementation and Evaluation of Effective Communication between Georgia's Local Government Bodies and Citizens aims to demonstrate the principles and mechanisms underlying the development of effective communication between self-government and citizens and their interdependency. According to the viewpoint presented in the study, active citizen engagement is vital for the rapid democratic development of the country. Along with that, the dissertation offers suggestions and recommendations on how to address the gaps and drawbacks in different areas of Georgia's self-governance.

Local self-government is closest to the citizen and its effective functioning requires full involvement of citizens.

Volume and Structure of the Dissertation: The doctoral dissertation contains 157 printed pages. Its structure has been designed to respond to the main idea of the research, i.e. developing effective mechanisms of citizen engagement.

The dissertation consists of an introduction, review of related literature, research results and their discussion, conclusions, and a list of references.

The introduction explains the relevance, importance, and practical implications of the research topic. It presents the research goal and objectives, subject of study, methodological framework, and the main findings of the work.

The literature review section provides the analysis of different sources relating to the research topic. Questions regarding the origin of the problem identified in the dissertation are raised and responded. This section provides the background of the topic by addressing the legislative framework on self-government, the methodology proposed for addressing the given problem and research findings that can contribute to the overcoming of the drawbacks in the given area.

The section providing the research results and their discussion offers opinions regarding the subject of the research. The formation, implementation, and evaluation of effective communication between local self-government and population is considered highly significant. The dissertation brings together and critically analyzes opposing views regarding the topic.

Citizen participation is a tool for local government to improve its managerial effectiveness and ensure constructive engagement. It seeks to ensure closer interactions between local bodies and civil society groups. There are different mechanisms of citizen engagement that can be used effectively by local government bodies in the fulfillment of their functions.

In this light, Chapter 1 provides a theoretical and methodological framework related to the models of establishing effective communication between local self-government and citizens. It offers a fundamental analysis of the history of the research topic, stages of development of the models of communication, as well as related concepts and typologies. The system of Georgian local self-governance and the methodological basis for the study of interaction between the local self-government entities and citizens is analyzed. It also discusses different classical theories related to this topic.

Chapter 2 describes the mechanism of the functioning of effective communication between local self-government and citizens, including the institutional structures of self-governing bodies. The dynamics of communication between local self-government and population in the area covered by the study (Batumi and other

parts of Atchara) is analyzed; empirical analysis is provided for the period between 2015 and 2019. The effectiveness of local self-governing bodies is evaluated based on secondary sources.

Chapter 3 analyzes the characteristics of the model of communication between the Batumi self-government entities and population within a broader context of reforms of local governance systems carried out in various countries.

Based on the interpretation of the results from the interviews conducted in the study area and the analysis of expert examinations, the dissertation offers an effective model of interaction between local self-government and population.

The dissertation also provides an analysis of regulations, engagement mechanisms and models, as well as the best practices of local self-government.

The techniques for the formation, implementation and evaluation of effective communication with citizens, as well as a new matrix of interaction between local government entities and citizens offered in the dissertation are sought to contribute to the attainment of the goal of the research, i.e. producing recommendations for the advancement of citizen engagement and improvement of planning and decision-making process by self-government authorities, as well as the facilitation of the introduction of cutting-edge technologies at local level.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალურობა. გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე საქართველო, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, განიცდის მრავალი ტრანსფორმაციული პროცესის ზეგავლენას. ამ პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების მართვის ახალი სტრატეგიის შემუშავებას. დემოკრატიულ საზოგადოებაში იგი უნდა ეფუძნებოდეს ფართო კონსენსუსის, ხელისუფლებისა და საზოგადოების ღია პარტნიორობის პრინციპებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მაქსიმალურად არიან მიახლოებული იმ გარემოსთან, სადაც უშუალოდ წარმოიშვება სამოქალაქო ინიციატივები, აკუმულირებულია მოქალაქეთა ინტერესები. ამრიგად, მათ გააჩნიათ პოლიტიკასა და მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობაზე გავლენის შესაძლებლობა. ამას კი, უდავოდ აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა, ხელისუფლების სხვა ორგანოებისა და მთელი პოლიტიკური სისტემის განვითარებისათვის.

მუდმივი, გრძელვადიანი, ნდობასა და ურთიერთგაგებაზე დაფუძნებული ურთიერთობები მოსახლეობასთან ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. სწორედ იგი განაპირობებს

ბებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიზნების, გადაწყვეტილებების მიმართ საზოგადოების ან მისი ცალ-ცალკე ჯგუფების მხრიდან დაპირისპირების თავიდან აცილებას, რაც ხშირად კრიზისული სიტუაციების გამომწვევი მიზეზია.

საკითხის აქტუალობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ უკანასკნელ პერიოდში არსებობს მზაობა არა მარტო მოქალაქეთა, არამედ სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელებაში, გაღრმავდეს დეცენტრალიზაციის პროცესი.

კვლევის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის, მოსახლეობასთან კავშირების შინაარსის, ფორმების, მეთოდებისა და ტექნოლოგიის არსის გამოვლენა, სრულყოფის ოპტიმალური გზების განსაზღვრა დასაბუთება.

ამ მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანებად დაისახა:

- „მოსახლეობასთან კავშირების“ ტექნოლოგიის ცნების დაზუსტება მართვის სოციოლოგიის პოზიციებიდან, აღნიშნული ტექნოლოგიის ძირითადი ელემენტების კლასიფიკაცია;
- მოსახლეობასთან კავშირების სპეციფიკის ტექნოლოგიის (სტრუქტურის, ფუნქციის, ფორმების), ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოქალაქეების, სოციალური ჯგუფებისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა პროცესში წარმოქმნილი თავისებურებების გამოვლენა;
- მოსახლეობასთან კავშირების მექანიზმისა და მისი ფუნქციონირების თავისებურებების გამოვლენა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ტრანსპარენტულობის ხარისხის განსაზღვრა მოსახლეობასთან კავშირების პრაქტიკის განზოგადებისა და შედარებითი კვლევების საფუძველზე;

ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

კვლევის საგანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების

საქმიანობა, მოსახლეობასთან კავშირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

კვლევის მეცნიერული ჰიპოთეზა მოსახლეობასთან კავშირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არასრულად იყენებენ ინფორმაციულ-კომუნიკაციურ რესურსს (პოტენციალს).

უკუკავშირი მოქალაქეებთან არაეფექტიანია, იგი ხშირად „ზემოდან“ არის ინიცირებული.

კვლევის **თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველია**, ნაშრომში გამოყენებული შემდეგი მეთოდები:

➤ *სისტემური ანალიზის მეთოდი* - კვლევის ობიექტის მთლიანობის, მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა კავშირების გამოვლენა (სისტემურ წარმონაქმნებად განხილულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სისტემა);

➤ *ინსტიტუციონალური ანალიზის მეთოდი* - ადგილობრივი თვითმმართველობის, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის, პოლიტიკური სისტემის სხვა ინსტიტუტებთან მისი ურთიერთკავშირების განხილვა;

➤ *დისციპლინათშორისი მიდგომის მეთოდი* - კომუნიკაციის, მენეჯმენტის, ისტორიის, სოციოლოგიის და სხვა მეცნიერებათა როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე თეორიული დებულებების გამოყენება;

➤ *დიალექტიკური მეთოდი* - სოციალური კომუნიკაციის კლასიკური მოდელების თანამედროვე პირობებში გამოყენების შესაძლებლობათა შეფასებისას, რამაც განაპირობა კომუნიკაციისადმი კლასიკური მიდგომების ახლებური ინტერპრეტაცია.

➤ *შედარებითი ანალიზის მეთოდი* - სოციალური კომუნიკაციის თეორიების, კონცეფციების, არსობრივი მახასიათებლების, პრაქტიკის შესწავლისას;

➤ *ფუნქციონალური მეთოდი* - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის, მათი თანამოქმედების, გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებების, მუნიციპალური მართვის არსებული მექანიზმების

შესწავლა;

➤ *ემპირიული მეთოდი* - ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების შედეგების ინტერპრეტაციისას;

➤ *საექსპერტო შეფასების მეთოდი* - ადგილობრივი თვითმმართველობის საბაზო მახასიათებლების - მუნიციპალური ავტონომიისა და მუნიციპალური ინტეგრაციის ხარისხის ანალიზი;

➤ *ისტორიული მეთოდი* - საქართველოში თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბებისა და ევოლუციის ეტაპების ანალიზი.

კვლევის ემპირიული ბაზა:

➤ შესაბამისი საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები;

➤ სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ანგარიშები ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მიმდინარეობის შესახებ;

➤ ცენტრალური და რეგიონალური პრესის, ინტერნეტ-საიტების მასალები ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ორგანიზაციის პრაქტიკული გამოცდილების საკითხებზე;

➤ ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემებისადმი მიძღვნილი, უცხოელ და ქართველ მეცნიერთა ნაშრომები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, სოციოლოგიური კვლევების მასალები.

ნაშრომის თემასთან დაკავშირებული კვლევის შედეგად მიღებულია **მეცნიერული სიახლეები:**

➤ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მოსახლეობასთან კავშირების პროცესის ისტორიული რეკონსტრუქცია, კონცეპტუალური მიდგომების სისტემატიზაცია და ელემენტების კლასიფიკაცია;

➤ მოსახლეობასთან კავშირების ტექნოლოგიის სპეციფიკა, რომელიც ძირითადად განისაზღვრება ურთიერთობათა ვერტიკალური და ჰორიზონტალური ბუნებით, მოქალაქეთა დაკმაყოფილების, მათ მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მხარდაჭერის დონით;

➤ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ტრანსპარენტულობის მდგომარეობა და ცვლილებათა დინამიკა 2015-2020 წწ.

პერიოდში (შედარებითი კვლევის საფუძველზე, ემპირიულად გამოვლენილი).

➤ ორიგინალური ემპირიული კვლევების შედეგების, მოსახლეობასთან კავშირების სხვადასხვა ასპექტების ამსახველი მეორადი ინფორმაციის გაანალიზება და ამის საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მოსახლეობასთან კავშირების ეფექტიანობის ამაღლების წინადადებების შემუშავება.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის მასალების, კერძოდ, ემპირიული კვლევების შედეგების გამოყენება შესაძლებელია სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის, მოსახლეობასთან კავშირების, მართვის სოციოლოგიის საკითხებთან დაკავშირებული სპეციალური სასწავლო კურსების შემუშავებისას.

დისერტაციის დასკვნების, რეკომენდაციების გამოყენება შესაძლებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მოსახლეობასთან კავშირების ფორმირების, განხორციელებისა და შეფასების პრაქტიკაში და აგრეთვე შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტაციების შემუშავებისას.

ნაშრომის სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 156 გვერდს და შედგება შესავალი ნაწილის, ლიტერატურის მიმოხილვის, 3 თავის 8 ქვეთავის, დასკვნების და რეკომენდაციებისაგან. ნაშრომი მოიცავს აგრეთვე ნახაზებს, ცხრილებს, დიაგრამებს და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

შესავალში საუბარია წარმოდგენილი თემის აქტუალურობაზე, პრაქტიკულ ღირებულებასა და მნიშვნელობაზე. ასევე გადმოცემულია კვლევის მიზანი, დასახულია ამოცანები, განსაზღვრულია კვლევის ობიექტი, საგანი და თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები; ჩამოყალიბებულია სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები.

ნაშრომის პირველი თავი – „ადგილობრივი თვითმმართველობების მოსახლეობასთან ეფექტიანი კავშირის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“ – შედგება სამი ქვეთავისაგან:

1. საკითხის ისტორია, ეტაპები, კონცეფციები და მათი კლასიფიკაცია;

2. ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა საქართველოში;
3. თვითმმართველობების მოსახლეობასთან კავშირების ტექნოლოგიის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები. კლასიკოსების თეორიები.

ზოგადად, პირველ თავში მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსახლეობასთან ეფექტიანი კავშირის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. ფუნდამენტურადაა შესწავლილი აღნიშნული საკითხის ისტორია, განვითარების ეტაპები, კონცეფციები და კლასიფიკაცია; შესწავლილი და გაანალიზებულია ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა საქართველოში და თვითმმართველობის ორგანოების მოსახლეობასთან კავშირების ტექნოლოგიის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები. მოცემულია აღნიშნული საკითხის კლასიკოსების თეორიების ავტორისეული ინტერპრეტაცია.

პირველი ქვეთავი მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხის ისტორიას, ეტაპებს, კონცეფციებსა მათ კლასიფიკაციას. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხი ყოველთვის იყო საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში, რომ საქალაქო, სათემო თვითმმართველობის ტრადიციების ფესვები ანტიკური სამყაროს პოლისური დემოკრატიის, შუა საუკუნეების წოდებრივი სახელმწიფოს საქალაქო თუ სასოფლო თემებიდან იღებს სათავეს.

თვითმმართველობის პრინციპი იყო იტალიის რესპუბლიკის წიაღში აღმოცენებული მმართველობის მთავარი პრინციპი, როდესაც ქალაქი რომი, უმარტივესი საზოგადოებრივი მოწყობის პატარა თემიდან გადაიქცა ვრცელი ტერიტორიის მქონე მსხვილ ქალაქ-სახელმწიფოდ.

ტერიტორიული მოწყობის ზოგიერთი წესი და კანონი, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 45 წელს დაადგინა იულიუს კეისარმა. აღნიშნული კანონების თანახმად, ადგილობრივი მუნიციპალური მმართველობის საფუძველს ადგილობრივი საქმეების განხორციელების ფართო ავტონომიის პრინციპი წარმოადგენდა და აღიარებდა მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების-რომის კონტროლს. უმაღლესი მმართველობითი ორგანო – სხვადასხვა რანგის ადგილობრივი პატრიციებისგან შემდგარი სახალხო

კრება იყო, რომელიც ირჩევდა მაგისტრატებს და წყვეტდა ქალაქის მნიშვნელოვან საკითხებს.

ტერმინი „თვითმმართველობა“ კი გერმანელმა მეცნიერმა ლორენცო ფონ შტეინმა (1815-1890 წ.) დაამკვიდრა. ადგილობრივი თვითმმართველობის თეორიის განვითარებაში უდიდესი წვლილი ფრანგმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ალექსის დე ტოკვილმა (1805-1859), გერმანელებმა - იურისტმა და პოლიტიკოსმა ჰენრიხ რუდოლფ გერმან ფონ ფრიდრიხ გნეიტსმა (1816-1895), ფილოსოფოსმა და ეკონომისტმა ლორენცო ფონ შტეინმა (1815-1890) და იურისტმა პაულ ლაბანდმა (1838-1918) შეიტანეს: პირველ რიგში, ეს ეხება გერმანელი ფილოსოფოსისა და ეკონომისტის ლ. შტეინის შეხედულებებს, რომელიც გადმოცემულია მის წიგნებში ”მომღვრება მართვის შესახებ”, ”მეცნიერების სისტემა სახელმწიფოს შესახებ” და ა. შ.

გარდა ამისა, ამავე ქვეთავში ისტორიული თანმიმდევრობითაა გადმოცემული სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმული შეფასებები თვითმმართველობისა და მმართველობის საკითხთან დაკავშირებით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ა. ტოკვილის ნააზრევი, რომელმაც აშშ-ს პოლიტიკურ სისტემაში ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხის შესწავლით ჩამოაყალიბა მთელი რიგი დებულებები, რომელმაც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძინა თვითმმართველობის კატეგორიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბებაში.

მეორე ქვეთავში მოქცეულია ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის საკითხები საქართველოში. აღწერილია მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია. აღნიშნულია, რომ ისტორიკოსების ცნობით, ერთიანი ქართული სამეფოს ადმინისტრაციულ -ტერიტორიული დაყოფა პირველად ძვ. წ. აღრიცხვით IV-III საუკუნეებში გვხვდება. იბერიის პირველი მეფის – ფარნავაზის მიერ ქვეყანა დაყოფილ იქნა ცენტრალურ რეგიონად და რვა საერისთავოდ.

პირველი საქალაქო თვითმმართველობა კი – ევროპის ქალაქების მსგავსად – VIII-XI საუკუნეების თბილისში გვხვდება. მას სათავეში „ტფილისის ბერები“ უდგანან. ქალაქის უხუცესებს (ბერებს) ირჩევენ ქალაქის მოსახლეობის წარ-

ჩინებული ფენიდან და მათ ვალდებულებას შეადგენდა - ქალაქის უსაფრთხოების დაცვა, მოქალაქეთა სურსათით მომარაგება, სამართალწარმოება და სხვ.

გარდა ამისა, დისერტაციაში დაწვრილებითაა აღწერილი შემდგომ საუკუნეებში სოციალურ-პოლიტიკურმა რყევებმა როგორ შეაფერხა თვითმმართველობების ჩამოყალიბების პროცესი, ხოლო მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის ანექსიას ქვეყნის ტერიტორიაზე რუსული ადმინისტრაციული დაყოფისა და მმართველობის მოდელის გავრცელება მოჰყვა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ კი საქართველოს ტერიტორიული მოწყობა რამდენადმე შეცვალა, ხოლო საბჭოების ფორმირებისა და ფუნქციონირების პრინციპს „დემოკრატიული ცენტრალიზმი წარმოადგენდა“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ცნების შესახებ კვალიფიციური შეხედულებების დამკვიდრება მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. თვითმმართველობის დამკვიდრების პირველი მცდელობა - 1991 წლის აპრილში ადგილობრივი დონის საკრებულოები იყო. შემდგომში, მათზე დაყრდნობით, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების საკრებულოების არჩევნები ჩატარდა. თუმცა, ადგილობრივი მმართველობის ვერტიკალის შენარჩუნების მიზნით, აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელად დაინიშნენ პრეფექტები, რომელიც შემდეგ გაუქმდა და გამგეობით ჩანაცვლდა.

მე-20 საუკუნის მიწურულს, 1998 წელს მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“, რითაც განისაზღვრა თვითმმართველობის მოდელი, რამაც დეცენტრალიზაციისათვის საწყისი ნიჟარა დაგი შექმნა. ახლად ფორმირებული სისტემა კვლავ ცენტრალიზებული მართვის მკაფიო ნიშნების მატარებელი იყო - რაიონების აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები ცენტრიდან ინიშნებოდნენ. თავად ორგანული კანონის სახელიც მიუთითებს ადგილობრივი ხელისუფლების ფორმირების დუალისტურ ბუნებაზე (არჩევითი/დანიშნული).

საქალაქო, დაბის, სათემო და სასოფლო ხელისუფლების ორგანოები რეალურად თვითმმართველობებს ქვედა დონეს ქმნიდნენ, თუმცა შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე, მათი უფლებები მხოლოდ ფორმა-

ლობად რჩებოდა.

საქართველომ, თვითმმართველობების ჩამოყალიბების საინტერესო და არაორდინალური მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო, რომლის განვითარების ეტაპები ცხრილის სახითაა მოცემული ამავე ქვეთავში.

პირველი თავის მესამე ქვეთავი – „თვითმმართველობის ორგანოების მოსახლეობასთან კავშირების ტექნოლოგიის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები. კლასიკოსების ისტორიები“ – საკითხიდან გამომდინარე საკმაო მოცულობისაა.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობა სწორედ ის სფეროა, სადაც საზოგადოებასთან კავშირი თითქმის ყველა ასპექტში გამოვლინდება, და საზოგადოებასა და ხელისუფლების ყველა ორგანოს შორის პარტნიორობას მოითხოვს. ამ ქვეთავში განხილულია:

- მოსახლეობის ჩართულობის არსი;
- საზოგადოების მომავალზე მოქალაქეების უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის ჩართულობის მექანიზმები.

გამოყოფენ მოსახლეობის ჩართულობის 4 მექანიზმს: საინფორმაციო, საკომუნიკაციო, პარტნიორობისა და ადმინისტრაციული, რომელთა კლასიფიკაცია ცხრილის სახითაა მოცემული. ასვე ყოველი მექანიზმი განხილულია ცალ-ცალკე.

ასევე განხილულია გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის დადებითი და უარყოფითი მხარეების კლასიფიკაცია და მათი ანალიზი.

თვითმმართველობის თეორიებმა საკმაოდ რთული გზა გაიარა, რომლებიც კლასიკოსების თეორიებში ღრმადაა გაანალიზებული. ევროპულ ადგილობრივ თვითმმართველობაში განვიხილავთ სამი სახის **მოდელს: ანგლოსაქსურს, ფრანგულს და შუაევროპულს**. მეცნიერთა ჯგუფი ანგლოსაქსურში აერთიანებს აშშ-სა და იმ ქვეყნების მოდელებს, სადაც ფედერაციული მოწყობაა, ხოლო ისეთი ქვეყანა როგორც გერმანიაა, თავისი ფედერაციული მოწყობით, ქმნის შუაევროპულ მოდელს. მე-20 საუკუნის ბოლოს კი თვითმმართველობის საზოგადოებრივი და სახელმწიფო თეორიების

კონცეპტუალური საწყისების ანალიზის შედეგად მუნიციპალური დუალიზმისა და სოციალური მომსახურების თეორიებს ჩაეყარა საფუძველი.

ნაშრომის მეორე თავი – „ადგილობრივი თვითმმართველობების მოსახლეობასთან ეფექტიანი კავშირის ფუნქციონირების მექანიზმი“ – შედგება სამი ქვეთავისაგან: 1) საქმიანობის ინსტიტუციური ასპექტები; 2) ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანიზაციულ-კომუნიკაციური თანამოქმედება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე; 3) საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების მოსახლეობასთან კავშირის განვითარების დინამიკა (2015-2019 წლები)

პირველ ქვეთავში საუბარია საქმიანობის ინსტიტუციურ ასპექტზე. საქართველო 2005 წლიდან არის ევროპის ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტიის წევრი, რომელსაც 2009 წლის ნოემბერში დაემატა ოქმი „ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მონაწილეობის უფლების შესახებ“. ეს დოკუმენტი ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს, მოქალაქეებისათვის თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართვის უფლებისა და შესაძლებლობის მიცემას.

ამ ქვეთავში ასევე აღნიშნულია, რომ 2014 წელს საქართველოში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კოდექსის შემოღებამ და ამოქმედებამ მთლიანად შეცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არსებული სტრუქტურა. კერძოდ, აღმასრულებელ ორგანოდ განისაზღვრა გამგებელი (მერი), ხოლო გამგეობა (მერია) ტრანსფორმირდა გამგებლის/მერის დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებად, რომელიც უზრუნველყოფს მისი უფლებამოსილების განხორციელებას.

თვითმმართველობის განხორციელების საბოლოო მიზნად მიიჩნევა საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლება, რომელიც შეიძლება პირობითად დაიყოს შემდეგ მიმართულებად:

1) მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისთვის უკეთესი გარემოს ჩამოყალიბება, რომელშიც იგულისხმება ტერიტორიის განვითარება, მუნიციპალური მომსახურების მიწოდება და უსაფრთხოება;

2) მაცხოვრებელთა შესაძლებლობების განვითარება;

თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს მოქმედებების ძირითადი მიმართულებებია: 1) თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიანი პერიოდისათვის განვითარების პრობლემების, რესურსების მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა და მათი გადაჭრის გზების შემუშავება (მუნიციპალური პოლიტიკა); 2) ადმინისტრაციული ერთეულების და შესაბამისი დარგების განვითარების პროგრამების შემუშავება-განხორციელება; 3) შესაბამისი მატერიალური რესურსებით (მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენების დაგეგმვა, თვითმმართველი ერთეულის ფინანსური გეგმების შედგენა და გახორციელება) - განვითარების პროგრამების უზრუნველყოფა; 4) შესრულების კონტროლი, დაგეგმვისა და დაგეგმილი პროგრამების კორექტირება, ანგარიშგება, შეფასება, შედეგებიდან გამომდინარე, დაგეგმვის ახალი ციკლის დაწყება.

კოდექსის თანახმად, გამოიყოფა მოქმედების ძირითადი ჯგუფები აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობაში – მუნიციპალური მართვა და მუნიციპალური მართვის უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, ამავე ქვეთავში განხილულია:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს და სტრუქტურების საქმიანობის ძირითადი პრინციპები;
2. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების პრინციპები.

აგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის მოდელისა და გამგეობის ეფექტიანი სტრუქტურის ნახაზები. გარდა ამისა, დეტალურადაა აღწერილი აღმასრულებელი საქმიანობის ოპერატიული მართვა.

მეორე ქვეთავში გადმოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანიზაციულ-კომუნიკაციური თანამოქმედება საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე.

სახელმწიფოს მმართველობაში მოსახლეობის ჩართულობის გასაზრდელად საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, შესაძლებელია რამდენიმე ეფექტიანი საშუალების გამოყოფა: ა) სამოქალაქო მრჩეველთა ჯგუფები; ბ) სტრატეგიული დაგეგმარება; გ) კოალიციის შექმნა.

განმარტებულია წარმომადგენლობითი კვლევის, საჯარო მოსმენების, შეფასების ბარათებისა და სოციალური ზედამხედველობის არსი. ასევე, მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები კანადაში, სლოვაკეთში, უნგრეთსა და სხვა ქვეყნებში.

მოქალაქეთა აქტიურობის (ჩართულობის) ერთ-ერთი ფორმა არის ადგილობრივი რეფერენდუმები და ნაშრომის ამ ქვეთავში მოცემულია სხვადასხვა ქვეყანაში (რუმინეთი, პოლონეთი, ლიტვა, სერბეთი, მოლდოვა, მონტენეგრო) მისი ჩატარების მიზანი და მიმართულებები, რა თქმა უნდა, აღნიშნული ქვეყნის კანონებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. განვითარებული თვითმმართველობითი დემოკრატიის ქვეყნებში არსებული მმართველობის ფორმები შედარებულია საქართველოში არსებულთან, რომლის პროცესშიც გამოიკვეთა მსგავსი და განსხვავებული პოზიციები. მაგალითად, ევროპაში დანერგილი საჯარო განხილვა არსებითად განსხვავდება ჩვენთან ჩატარებული საჯარო განხილვისგან. იმ შემთხვევაში, თუ არ შედგა ხალხსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კონსესუსი, კანონი არ იქნება მიღებული. მიგვაჩნია, რომ ეს თვალსაჩინო მაგალითია დემოკრატიის, რომელიც აუცილებლად უნდა დაინერგოს ადგილობრივ თვითმმართველობათა საქმიანობის პრაქტიკაში.

მეორე თავის მესამე ქვეთავი საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების მოსახლეობასთან კავშირის განვითარების დინამიკას ასახავს 2015-2019 წლებში. 2017 წლის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ (USAID) ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკის შეფასებას ბათუმისა და ახალციხის თვითმმართველ ქალაქებში როგორ ურთიერთობენ მოქალაქეები მუნიციპალურ ხელისუფლებასთან და რამდენად აისახება მათი პოზიციები ადგილობრივი ხელისუფლების მოკლევადიან და გრძელვადიან პრიორიტეტებსა და ბიუჯეტში. ამ კვლევისათვის შემუშავდა სპეციალური ანკეტა-კითხვარი. რესპოდენტებს წარმოადგენდნენ დაინტერესებული მხარე და გადაწყვეტილების მიმღები პირი.

კითხვები მთლიანად ეხებოდა ჩართულობის ფორმებს და სამოქალა-

ქო ჩართულობის არსებულ პრაქტიკას საბიუჯეტო პროცესში, ასევე შესაბამის საკანონმდებლო ბაზას, ონლაინ ჩართულობასა და ინფორმაციის გადაცემის ელექტრონულ სისტემებს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ თითოეულ მუნიციპალიტეტში არსებობს სამოქალაქო ჩართულობის პრაქტიკის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი გამოუყენებელი რესურსები.

მთავარ საკითხად გამოიკვეთა თანამედროვე ინფრასტრუქტურის არ არსებობა და საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის დაბალი დონე.

სამოქალაქო ჩართულობის ხარისხისა და დონის შეფასებამ გვიჩვენა, რომ კვლევის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის დონე უფრო დაბალი იყო - რესპოდენტთა მხოლოდ 20% იყენებდა ჩართულობის რაიმე ფორმას.

ყველაზე აქტიური თბილისის და საქართველოს სოფლების მოსახლეობა აღმოჩნდა. ამავე გამოკითხვით დადგინდა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეების ჩართულობა შედარებით მაღალია,

შედარებით ნაკლებია ჩართულობა 35 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, ხოლო 35-დან 50 წლამდე ადამიანებში ყველაზე მეტია.

რესპოდენტთა ნახევარი მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ინტერესდება სხვადასხვა საკითხის შესახებ მათი აზრით, 33% ფიქრობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების დროს საზოგადოებრივ აზრს.

ამავე ქვეთავში დეტალურადაა განხილული კვლევის შედეგები სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით და მათი პროცენტული მაჩვენებლები. გამოკვეთილი ხარვეზების ანალიზი და ამ ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი – „საქართველოს ადგილობრივი ორგანოების მოსახლეობასთან ეფექტიანი კავშირის ფორმირების, განხორციელებისა და შეფასების ტექნოლოგია“ – მოიცავს ორ ქვეთავს:

1. სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები მუნიციპალიტეტების სოციალური რეალობის ფორმირების პროცესში

2. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის მოსახლეობასთან ეფექტიანი თანამოქმედების მოდელის თავისებურებები.

პირველ ქვეთავში ძირითადი ადგილი უკავია სოციალურ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს მუნიციპალიტეტების სოციალური რეალობის ფორმირების პროცესში. გადმოცემულია სოციალური კომუნიკაციის არსი და სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგია და ამ ტექნოლოგიის მექანიზმის ურთიერთმაკავშირებელი ელემენტები.

სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიის რეალიზაციის პროცესში სოციალური სუბიექტებია სოციალური გაერთიანებები (მიზნობრივი ჯგუფები), აგრეთვე სოციალური ორგანიზაციები და ინსტიტუტები.

მიუხედავად სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების სუბიექტებისა და ინსტრუმენტების ფართო სპექტრისა, მათ აერთიანებთ საერთო ნიშან-თვისებები: ა) მიზნმიმართულობა; ბ) სტრუქტურიზაცია; გ) ოპერაციები, სტადიები, ფაზები; დ) მოქმედებათა კოორდინაცია და ეტაპობრიობა.

ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური, კულტურული სფეროების მართვის რთული მრავალდონიანი სისტემა. ახალი დემოკრატიული ტენდენციები განაპირობებენ მოქალაქეთა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ეფექტიან თანამოქმედებას, რაც შეუძლებელია სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიის, მოქალაქეებთან პირდაპირი და უკუკავშირების გარეშე.

ჩვენ ქვეყანაში გამოყენებული სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების - Local Government Relations (LGR) ანალიზი, გვიჩვენებს, რომ ისინი გარკვეულწილად განაპირობებენ ურთიერთობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. მიუხედავად ამისა საჭიროა, რომ სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგია მაქსიმალურად სწრაფად და ზუსტად გადასცემდეს მონაცემებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რეაგირების შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე (უკუკავშირი).

უკუკავშირის მექანიზმის გამოყენება ნათელი დემონსტრირებაა სო-

ციალური კომუნიკაციის წრისებრი ბუნებისა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში თანმიმდევრულად იცვლება შეტყობინების გამგზავნისა და მიმღების როლები. წრიული მოდელი ასახავს სოციალურ კომუნიკაციას, როგორც დისკრეტული აქტების რიგს, რომელსაც აქვს დასაწყისი და დასასრული. ამ სისტემის მთავარი ელემენტია შეტყობინების გამგზავნი, ვინაიდან სწორედ მასზეა დამოკიდებული ინფორმაციის მიმღების რეაქცია.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მოსახლეობის თანამოქმედების რამდენიმე რეალური მოდელი და კვლევის პროცესში გაანალიზებულია მოდელების ხარისხობრივი მაჩვენებლები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაკთა კომუნიკაციური კომპეტენტურობის კრიტერიუმები, სოციუმის საინფორმაციო ველში კომუნიკაციური პროცესების მოდელირების თეორიულ მეთოდოლოგიური პრინციპები.

ბოლო ნაწილში მოცემულია წინამდებარე კვლევის პროცესში შემუშავებული კომუნიკაციური პროცესის მოდიფიცირებული მოდელი. მისი სისტემაშემქმნელი ელემენტებია: მოქალაქეთა მოთხოვნა, ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაკთა უნარი, მათი საქმიანობის, მოსახლეობასთან ურთიერთობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების პოტენციალი.

მესამე თავის მეორე ქვეთავი ეძღვნება ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევებს. თვითმმართველობებისა და მოსახლეობის ჩართულობის ხარისხისა და მექანიზმების არსებული ტენდენციების გამოვლენის საკითხების შესწავლამ განაპირობა 2018 წელს ჩატარებული მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვა.

კვლევა მოიცავდა ისეთი საკვანძო საკითხებს, როგორცაა მუნიციპალიტეტის მუშაკთა მიერ დაკისრებული მოვალეობისადმი დამოკიდებულება, ქალაქის უბნის მოსახლეობის ჩართულობა სამოქალაქო საბჭოს წევრებთან ერთად თვითმმართველობაში, მუნიციპალიტეტის ვებგვერდის გამოყენების ეფექტიანობა და სხვა.

კვლევა ჩატარდა ბათუმის ორ უბანში: ჭაობი და ბენჯეს დასახლებაში. ორივე მჭიდროდაა დასახლებული. კვლევის პროცესში ჩემთან ერთად

მონაწილეობა ბათუმის რამდენიმე მოქალაქემ მიიღო.

შერჩევის ზომა: გამოკითხვაში მონაწილეობა 550 სხვადასხვა ასაკის ადამიანმა მიიღო. გამოკითხული მოსახლეობა ბათუმის მკვიდრია და ზემოთ აღნიშნული უბნის მაცხოვრებლები არიან.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა მდებარებითი სქესისაა – 55%, მამრობითი – 45%, მათი ასაკი გადანაწილდა შემდეგნაირად: 25-მდე – 19%, 25-45 – 37%, 46-64 – 30%, 65-დან – 14%.

რესპოდენტები სოციალური სტატუსის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდნენ: უმუშევარი – 29%, დასაქმებული – 42%, სტუდენტი – 15%, პენსიონერი – 14%.

როგორც კვლევამ გვიჩვენა - მოსახლეობის ჩართულობა მუნიციპალიტეტის მუშაობაში აუცილებელია, რათა მიიღოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არსებობს საბჭოები და ამ საბჭოებთან ერთად შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ თავიანთი ქალაქის აქტიურ ცხოვრებაში.

კვლევის შედეგების ამსახველი დიაგრამები და ცხრილები მოცემულია მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომის ძირითად ნაწილში, ვინაიდან ავტორეფერატის ფორმატი არ იძლევა ამის შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა დაახლოებით 38% აქვს ინფორმაცია ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან არსებული საბჭოების შესახებ, 47%-მა არ იცის მისი არსებობა და 15%-ს უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო ინფორმაცია იმის შესახებ თუ საიდან, რომელიც წყაროდან ქონდათ მოქალაქეებს ინფორმაცია მოქმედი მრჩეველთა საბჭოს შესახებ აღმოჩნდა, რომ 42%-ს ეს ინფორმაცია ნაცნობ-მეგობრებმა მიაწოდა, 28% (ძირითადად ახალგაზრდები) ინტერნეტს ასახელებენ, ხოლო პრესა და სხვა წყაროების პროცენტული მაჩვენებელი თანაბარი აღმოჩნდა – 15-15%.

კითხვაზე - იცით თუ არა რა უფლებამოსილებები შედის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობაში, რამდენად არიან ჩართული მოქალაქეები ქალაქის საქმიანობაში, იციან თუ არა თავიანთ ქალაქში რა პრიორიტეტები აქვთ და რისი შეცვლა შეუძლიათ, - გამოკითხულთა 37% - დადებითი პასუხი გასცა კითხვას, 50% - უარყოფითი, 13% - შეკითხვა დატოვა უპასუხოდ.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლების უმრავლესობა არ არის ინფორმირებული საბჭოების საქმიანობის შესახებ, ასევე საერთოდ არ ფლობენ ინფორმაციას მათ საქმიანობაზე, თუმცა მოქალაქეებმა მეტ-ნაკლებად იციან თავიანთი უფლებები.

კითხვაზე - რამდენად ითვალისწინებს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ შეთავაზებულ პროექტებს და ინიციატივებს თვითმმართველობის ორგანო?, რესპოდენტთა უმრავლესობას - 62% მიაჩნია, რომ საბჭოს მიერ შეთავაზებულ პროექტებს და ინიციატივებს არ ითვალისწინებს თვითმმართველობის ორგანო, 25% - მიაჩნია, რომ საბჭოების შეთავაზებები არ რჩება რეაგირების გარეშე, ხოლო 13% - უჭირს პასუხის გაცემა.

მომდევნო შეკითხვაზე – წარგიდგენიათ თუ არა რაიმე წინადადება ან შენიშვნა თქვენი ქალაქის მმართველ ან საკანონმდებლო ორგანოში? – გამოკითხულთა უმრავლესობას 75 %, არასოდეს მიუმართავს მმართველი ან საკანონმდებლო ორგანოსთვის (თუ არ ჩავთვლით პირად საკითხებს), 8% - მიუმართავს, ხოლო 17% - შეკითხვა უპასუხოდ დატოვა.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, გამოკითხულთაგან არცერთი მათგანი არ ყოფილა ჩართული ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, შესაბამისად არც რაიმე შენიშვნის და წინადადებების წარდგენის შესაძლებლობა მისცემიათ მათ. თუმცა 62% - დადებითად ფიქრობს, 25% - უარყოფითად, ხოლო 13% - თავი შეიკავა პასუხისაგან.

შეკითხვაზე, ქონდათ თუ არა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ან საკრებულოს ვებგვერდის შესახებ და ერთხელ მაინც თუ უსარგებლიათ ამ ვებგვერდით - დაფიქსირდა შემდეგი პასუხები: 88% - არ უსარგებლია, თუმცა უმრავლესობა ინფორმირებულია ვებგვერდის არსებობის შესახებ, მხოლოდ 12% - ჰქონია მასთან შეხება.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების საქმიანობის გაზრდა ვერ იქნება ეფექტური, თუ ქალაქის ყველა უბნის მაცხოვრებელი აქტიურად არ ჩაერთვება პროცესებში და სამოქალაქო საბჭოს წევრებთან ერთად იმ საკითხების ლობირებას არ დაიწყებს, რაც კონკრეტულ უბანში მცხოვრებ მოქალაქეებს აწუხებს.

ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის ორგანოები კომუნიკაციისთვის ძირითადად იყენებენ სოციალურ ქსელებს (facebook, twitter), მედიას და პირად შეხვედრებს. შექმნილი აქვთ ოფიციალური ვებ-გვერდი.

ბათუმის საკრებულოს აქვს თავისი ვებ-გვერდი. ქალაქში ხშირად ტარდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები, განხილვები, მერთან შეხვედრები. აღსანიშნავია, რომ საკრებულოსთან არსებული საბჭო პერიოდულად ატარებს სხდომებს, განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა მოსახლეობასთან ბიუჯეტებისა და ურბანული დაგეგმარების საკითხების განხილვაში.

საბჭოს აქვს ინტერნეტ-ვებ გვერდი: www.marte.ge, ფუნქციონირებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის Ewmi Access პროექტის ფარგლებში, USAID ფინანსური მხარდაჭერით, რომელიც რეგულარულად განახლებადია.

საბჭოს ვებ-გვერდს აქვს კითხვარის მოდული, სადაც მოქალაქეებს საშუალება აქვთ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა ქალაქის ბიუჯეტზე, თუმცა ინფორმაცია წარსულში გამოქვეყნებული კითხვარების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი.

იმისათვის, რომ შეგვესწავლა აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებში, კონკრეტულად, ბათუმისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების არსებული მდგომარეობა, გაგვერკვია თუ როგორ შეიცვალა ჩვენს მიერ შესწავლილი ტენდენცია და როგორ გამოიკვეთა არსებული პრობლემის კონკრეტული დეტალები, ჩავატარეთ განმეორებითი კვლევა, სადაც უფრო მეტად ჩავუღრმავდით წამოჭრილ პრობლემას საკვანძო საკითხებით.

ამ კონკრეტული კვლევის პროცესში ჩვენ მიზნად დავისახეთ გაგვერკვია თუ როგორ მიმდინარეობს მოსახლეობის ჩართულობა თვითმმართველობის საქმიანობაში, მათი ინფორმირებულობა, მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის გამოყენება და სხვა. ასევე, ჩვენი მიზანი იყო თვითმმართველობის ფუნქციონირებით და მასთან თანამოქმედებით მოსახლეობის კმაყოფილების დონის შესწავლა და აგრეთვე, კონკრეტული პრობლემების

გამოვლენა.

კვლევის ამოცანები. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- მოსახლეობის მიერ თვითმმართველი ორგანოს ადგილმდებარეობისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია
- მოსახლეობის მიმართვიანობის სიხშირე მუნიციპალიტეტისათვის
- მაცხოვრებელთა ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის ფუნქციებით და ვალდებულებებით
- მონაწილეობა თვითმმართველი ორგანოს გადაწყვეტილების მიღებაში - მოსახლეობის ჩართულობის მიზნით
- მუნიციპალიტეტისათვის მიმართვიანობის ინტენსიურობა რაიმე კონკრეტული პრობლემით
- უახლესი პროექტების შესახებ ინფორმაცია და სხვ.

კვლევის შედეგებმა ასაკობრივ ჭრილში შემდეგი სურათი მოგვცა:

რესპოდენტთა უმეტეს ნაწილს წარმოადგენდნენ 35-45 წლის, აქტიური შრომისუნარიანი მოქალაქეები. რაც შეეხება გენდერულ ჭრილს, აქ გამოვლენილია შემდეგი თანაფარდობა: 60%-ქალბატონები, 40% - მამაკაცები. კვლევის მონაცემები მიღებულია აგრეთვე ქალაქისა და სოფლის ჭრილში, შრომის ანაზღაურებისა და მუნიციპალიტეტისთვის მიმართვიანობის მიხედვით.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობას დადებითად აფასებს 10 %, საშუალოდ – 35, ხოლო უარყოფითად – 35%, პასუხის გაცემა კი 20 პროცენტს უჭირს, ხოლო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას 35% უცხადებს ნდობას, ხოლო 65%-ს უჭირს პასუხის გაცემა. თუმცა მოსახლეობა აშკარად კმაყოფილია განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებით, კერძოდ, გამოკითხულთა 100%-მა სრულიად კმაყოფილია საავტომობილო გზებით, ხოლო წყალმომარაგებას და ბუნებრივი აირით მომარაგებას, ორივე მიმართულებით, მოსახლეობის $\frac{3}{4}$ ნაწილი - დადებითად აფასებს და მხოლოდ $\frac{1}{4}$ -ს „უჭირს პასუხის გაცემა“. სკოლამდელი დაწესებულებების მდგომარეობით მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე ორივე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები თითქმის ერთნაირად გამოხატავენ დამოკიდებულებას და მათ შორის ბევრად სჭარბობს დადებითი დამოკიდებულება 76,9 % -23,1 %-ის წინააღმდეგ.

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სოციალური პროექტების მიმართ, კერძოდ სამედიცინო მომსახურების მდგომარეობისა და თანადაფინანსების რეჟიმით, კვლევის შედეგად უფრო პოზიტიური შედეგები ფიქსირდება გასულ წლებთან შედარებით. ამ მხრივ ბევრად უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე რამდენიმე წლის წინ განხორციელებული კვლევის შედეგების მიმოხილვისას, თუმცა ჯერ კიდევ დასახვეწია ის სტანდარტები, რაც საბოლოოდ, სრულყოფილ და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის შედეგებამდე მიგვიყვანს.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში, მუნიციპალიტეტებში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები გაუმჯობესდა (2017-2019) მოქალაქეების ჩართულობის დონე განსაკუთრებით რეგიონებში, მაინც არასახარბიელო რჩება.

დაბალი ინტერესი ისევ და ისევ მოსახლეობის ტრადიციულ აღქმაში იღებს სათავეს, რომ თვითმმართველობები - ცენტრალური ხელისუფლების მარჯვენა ხელია, და არა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები, რომელთაც კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება და ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ანგარიშვალდებულება გააჩნიათ.

ჩართულობისადმი ჩვენი მოქალაქეების ინტერესის და აქტივობის პასიურ დონეს განაპირობებს, როგორც ჩანს, მოსახლეობაში რწმენის დეფიციტი, რომ თვითმმართველობის განხორციელების საბოლოო მიზანი - მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაა, მოსახლეობის ცხოველმყოფელობისთვის სასიკეთო გარემოს შექმნა და მოქალაქეების შესაძლებლობების განვითარება (განათლება, დასაქმება, სოციალური უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვა, ახალგაზრდობის სოციალურ პროექტებში ჩართვა, და ა.შ.)

კვლევამ გამოავლინა, რომ მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა საჭიროებს სოციალურ-ეკონომიკურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე დაფუძნე-

ბულ სახელისუფლებლო მარკეტინგის მენეჯმენტის განხორციელებას: ა) PR-ის სათანადო სტრატეგიის შემუშავებას; ბ) მოსახლეობაში აქტიური მიზნობრივი სემინტების გამოვლენას; გ) სამოქალაქო საზოგადოების სოციალურ მართვას; დ) საზოგადოების თვითორგანიზებულობის ამაღლებას.

ჩატარებული კვლევების კომპლექსურმა ანალიზმა ცხადყო, რომ მოსახლეობის არასაკმარისი ჩართულობის პრობლემას რიგი მიზეზები აქვს, რომელთა ფორმულირება გამოხატულია შემდეგნაირად :

1. მოსახლეობის დიდ ნაწილს უჭირს თვითმმართველობის მესვეურებთან შეხვედრისას, განსახილველი საკითხების საკუთარ, ცხოვრებისეულ, ყოველდღიურ პრობლემებთან დაკავშირება.

2. მოქალაქეთა ჩართულობის ინტენსივობა პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული ადგილობრივი თვითმმართველობის მოწყობასა და კომპეტენციებთან- თუ თვითმმართველობა შეძლებს მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების ინიცირება-გადაწყვეტას, მათი ჩართულობა გაცილებით უფრო მაღალი იქნება და მოითხოვს ნაკლებ დამატებით ძალისხმევებს .

3. მოსახლეობის ჩართულობის ერთ-ერთი პრობლემა-დაინტერესებული აქტიური მოქალაქეების მობილიზაციაა. კვლევებმა ცხადყო, რომ ხშირად მოსახლეობის ყველაზე აქტიური და კრეატიული ნაწილი (ახალგაზრდობა) მუდმივად არ ცხოვრობს რეგისტრაციის ადგილზე და შესაბამისად, მას ნაკლებად აღეგებს თვითმმართველობაში ჩართულობის პრობლემა. მუნიციპალიტეტის მმართველობისთვის, მოსახლეობის ჩართულობის პრობლემის მოგვარების სამიზნე აუდიტორია შეიძლება სწორედ პოტენციური შრომითი მიგრანტები იყვნენ, როგორც საზოგადოების ყველაზე აქტიური და კომუნიკაბელური ნაწილი.

4. კვლევამ წარმოაჩინა მოსახლეობის ჩართულობის დაბალი ხარისხის პრობლემა- კომპეტენტური და გათვითცნობიერებული მოსახლეობის უნარი (უუნარობა) მისთვის სასარგებლო, სათანადო და არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღების საქმეში, მოსახლეობაში განსახილველი საკითხების ცოდნა და განსჯის უნარი;

5. გამოიკვეთა მოსახლეობაში ფაქტობრივი, ობიექტური, სათანადოდ „შეფუთული“ ინფორმაციის ნაკლებობა განსახილველ საკითხებთან -პროექტებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობდა ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას მისი მხრიდან.

6. მნიშვნელოვანია თვითმმართველმა ორგანოებმა ინფორმაციის ეფექტიანად მიწოდების მიზნით, მოახდინონ მოსახლეობის დიფერენცირება-სეგმენტაცია და სამიზნე ჯგუფებისთვის ყველაზე მეტად რელევანტური კომუნიკაციის საშუალებებისა და არხების შერჩევა.

7. მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები უნდა იყოს მარტივი, რეალური, ადვილად აღქმადი და გასაგები. აგრეთვე იყოს ეფექტური და ქმედითი.

8. კვლევამ გამოავლინა არასაკმარისი საკანონმდებლო რეგულაციები რომელშიც არ არის გათვალისწინებული მოქნილი და ეფექტური მექანიზმები მოქალაქეთა ჩართულობის მისაღებად.

9. მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომელთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესება მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით – ძალიან მნიშვნელოვანია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები მოქალაქეთა ჩართულობის საკითხს მიუდგნენ პროფესიონალურად.

10. კვლევამ გამოკვეთა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მჭიდრო თანამშრომლობის დეფიციტი საბჭოების წევრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ ბიზნეს სექტორთან, რაც სერიოზულ გადახედვას საჭიროებს, ვინაიდან ისინი იცავენ მოსახლეობის უფლებებს, ქმნიან სამუშაო ადგილებს, იხდიან გადასახადებს, რომლის უმეტესი ნაწილი ხმარდება ქალაქს. ამ ორგანიზაციების წევრები ყოველთვის ითხოვენ ქალაქის ხელმძღვანელობისგან მეტ კომუნიკაციას და მათი უფლებების და შეხედულებების გათვალისწინებას. შესაბამისად, რაც უფრო ძლიერი იქნება არასამთავრობო და ბიზნეს-სექტორი, მით უფრო მაღალი იქნება დასაქმებული და დაცული მოსახლეობის ჩართულობის დონე და ხარისხი.

11. კვლევებმა ცხადყო, რომ გამოცდილების გაზიარება, განსხვავებული მოსაზრებების გამოხატვა-გაგება და ყველა შესაძლო ალტერნატივის გააზრება, არის თანამოქმედების ის მნიშვნელოვანი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ორივე მხარის სათანადო რეაგირებას, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე საზოგადოების მხრიდან.

12. კონსოლიდირებული, პასუხისმგებლიანი და მოტივირებული საზოგადოება, რომელსაც შესწევს უნარი გადაწყვეტილებების მიღებისა და ხელისუფლებასთან შეთანხმებით შეიმუშაოს სამოქმედო გზა კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად.

განხორციელებულმა კვლევების შედეგების კომპლექსურმა შეფასებამ საშუალება მოგვცა თვითმმართველობის ორგანოებისა და მოსახლეობის თანამოქმედების, მოქალაქეთა ჩართულობის და სათანადო დასკვნების საფუძველზე შეგვემუშავებინა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მოსახლეობის თანამოქმედების **მოდულირებული ტექნოლოგიების მოდელი**.

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ადგილობრივ მოსახლეობასთან კავშირის განმტკიცების მდგრადი ტენდენცია, რაც სოციალური სუბიექტების ურთიერთმოქმედების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებასაა მიჩნეული, როგორც მოსახლეობის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან.

- გამოვლენილია სისტემური კავშირი სოციალური კომუნიკაციის ტექნოლოგიის სტრუქტურის, ფუნქციების, ფორმებისა და მოქალაქეთა ურთიერთობებს შორის ადგილობრივი თვითმმართველობასთან.

- შედარებითი ანალიზის და საზოგადოებრივი კავშირების პრაქტიკის განხორციელების შედეგად განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ტრანსპარენტულობის მდგომარეობა და პროცესის დინამიკა.

- ადგილობრივი მოსახლეობის და მუნიციპალური საბჭოების დეპუტატების აზრთა გამოკითხვის შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ არსებობს მათი ერთობლივი ინტერესი ადგილობრივი თვითმმართველო-

ბის საქმიანობის ისეთი უმნიშვნელოვანესი ფორმის მიმართ, როგორცაა სოციალური კომუნიკაცია.

- სოციოლოგიური კვლევის და საექსპერტო გამოკითხვების შედეგების შედარებამ ცხადყო, რომ წინააღმდეგობა ადგილობრივ თვითმმართველობაში მოსახლეობის მონაწილეობის მრავალფეროვან ფორმებსა და მათი გამოყენების პრაქტიკის შორის, ძირითადად განპირობებულია მოქალაქეთა პასიურობით.

- საექსპერტო გამოკითხვების შედეგად გამოვლენილია აგრეთვე კავშირი ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემებისადმი მოსახლეობის პასიურობასა და თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან ამ საკითხებში მოსახლეობის მონაწილეობისადმი დაბალ ინტერესს შორის.

- სოციოლოგიურმა კვლევამ დაგვანახა, რომ საჭიროა ადგილობრივ თვითმმართველობაში მოსახლეობის მონაწილეობის პროცედურების გამარტივება, ჩართულობის მექანიზმები ადვილად გასაგები და ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოქალაქეებისათვის.

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მოსახლეობასთან ინფორმაციული ურთიერთქმედების საკითხებზე ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევამ, ჩაღრმავებულმა ინტერვიუებმა, ფოკუს-ჯგუფებისგან მიღებული მონაცემების ანალიზმა გამოავლინა მოქალაქეების და მუნიციპალური საბჭოების დეპუტატების განსხვავებული მიდგომა კომუნიკაციის არხებისადმი უპირატესობის მინიჭებაში.

- მოსახლეობის ინფორმირების არსებული წყაროების შესახებ მოქალაქეთა და მუნიციპალური საბჭოების დეპუტატების აზრთა შედარებამ, გამოავლინა მათი სრულიად განსხვავებული მიდგომა. მოქალაქეებს მიაჩნიათ, რომ პირადი შეხვედრების ხვედრითი წილი ძალზე დაბალია, დეპუტატებს კი, საწინააღმდეგო აზრი აქვთ. ეს განსხვავება იმით აიხსნება, რომ პირადი შეხვედრები, ხშირ შემთხვევაში, უფრო მეტად ემსახურება დეპუტატის იმიჯის, ცნობადობის ამაღლებას, ვიდრე მოსახლეობასთან ინფორმაციულ ურთიერთქმედებას.

- ემპირიული კვლევის მეთოდით, ინფორმაციის გაცვლის პროცესში

გამოვლენილია ჰორიზონტალური კავშირების, პიროვნებათშორისი კომუნიკაციების განსაკუთრებული მნიშვნელობა, პირად ურთიერთობათა და სოციალური კონტაქტების მყარი სტრუქტურა.

- **მოსახლეობასთან კავშირების განმტკიცების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციებით გათვალისწინებულია:**

- საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტთა მოწვევა ინფორმაციული ურთიერთქმედების, სოციალური კომუნიკაციის ორგანიზაციის მაღალეფექტიანი პროცესების ორგანიზაციისა და ოპერატიული მართვის მიზნით.

- ადგილობრივი მნიშვნელობის აქტუალური ინფორმაციის მიწოდება ინიციატივის წესით, წინმსწრებით, მოქალაქეთა მოთხოვნამდე.

- სპეციალური ტელე და რადიოგადაცემების ორგანიზება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის არსის განმარტების მიზნით.

- ხალხმრავალ ადგილებზე (ქუჩები, მოედნები, მაღაზიები) ლოკალური რადიომაუწყებლობის გამოყენება მუნიციპალური ახალი ამბების ტრანსლირების მიზნით.

- სპეციალური ფორუმების შექმნა მუნიციპალური ორგანოების საიტებზე, ადგილობრივ მოსახლეობასთან აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზნით.

- აუცილებელია მოსახლეობისგან მუდმივი და მყარი უკუკავშირის სისტემის ჩამოყალიბება, რაც შეამცირებს მართვის მონოცენტრულობის ხარისხს, გაზრდის საზოგადოებრიობის ჩართულობას მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზაციის პროცესში.

- მუნიციპალური გაზეთების გავრცელება ხალხმრავალ ადგილებსა და საცხოვრებელ მისამართებზე.

- მორბენალი სტრიქონისა და ეკრანების გამოყენება ადგილობრივ სატრანსპორტო მარშრუტებზე.

- ვიდეოანგარიშების შექმნა მუნიციპალური საბჭოების საქმიანობის შესახებ და მათი დემონსტრირება ტელევიზიით და მედია ეკრანებზე.

- მუნიციპალური საბჭოების ყოველწლიური საქმიანობის შესახებ

ანაგარიშისა და მომდევნო წლის ამოცანების შესახებ ბროშურების გამოცემა.
მათი გავრცელება პირდაპირი დაგზავნის მეთოდით (direct mail).

- მუნიციპალური სამართლებრივი აქტების გამოქვეყნებისთვის უნდა შეიქმნას მუნიციპალური გაზეთების სპეციალური გვერდი. ამ მიზნით საჭიროა აგრეთვე სოციალური რეკლამის აქტიური გამოყენება.
- საბიუჯეტო სახსრებიდან უნდა განისაზღვროს მინიმალური თანხა მოსახლეობის ინფორმირების ღონისძიებათა დაფინანსებისათვის.

კვლევის შედეგად შემუშავებულია, მოსახლეობასთან ეფექტიანი კავშირის ფორმირების, განხორციელებისა და შეფასების მოდიფიცირებული ტექნოლოგია, მოქალაქეთა და ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურების ურთიერთობის და ურთიერთქმედების ახალი მატრიცა, რაც საბოლოო ჯამში ხელი უნდა შეეწყოს კვლევის ძირითადი მიზნის მიღწევას - საქართველოს თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფი ქმედითი რეკომენდაციების შემუშავებას, სახელმწიფო უწყებების მმართველობითი გადაწყვეტილებების დაგეგმვის, მიღებისა და სტიმულირების პროცესის ეფექტიანობის ამაღლებას, მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის დაჩქარებას.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა ორი თემატური სემინარი და სამი კოლოკვიუმი.

კოლოკვიუმები:

1. „მოსახლეობის ჩართულობის არსი, მექანიზმები და მათი გამოვლინება ადგილობრივი ორგანოების განვითარების პროცესში“
2. „ადგილობრივ ორგანოებში მოსახლეობის ჩართულობის მსოფლიო გამოცდილება“
3. „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შეფასება“

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის შრომებში:

სტატიები:

1. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსახლეობასთან ეფექტიანი კავშირის ფორმირების, განხორციელებისა და შეფასების ტექნოლოგია. ჟურნალი: ხელისუფლება და საზოგადოება. N4 (44) 2017 გვ. 51-59.
2. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის წინაპირობები საქართველოში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალი: ხელისუფლება და საზოგადოება. N2 (54) 2020 გვ. 5-20.
3. სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები მუნიციპალიტეტების სოციალური რეალობის ფორმირების პროცესში. ჟურნალი: „სოციალური ეკონომიკა“ (21 საუკუნის აქტუალური პრობლემები). N1, 2020, გვ. 9-13.

კონფერენცია:

1. ადგილობრივი თვითმმართველობა და მოქალაქეთა ჩართულობა მმართველობის პროცესში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. მე-11

ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“- 25 ნოემბერი, 2017 წელი

2. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შეფასება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საქართველოს პარლამენტარიზმის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს პარლამენტარიზმი -100“ 9 მარტი, 2019 წელი